ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №158/ს

თბილისი „ 13 " „ ოქტომბერი " 2014 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მარია მკლისის სახით და მეორეს მხრივ შპს „ჯეი" (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ელდარ ერაძის სახით

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველმა" განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი სახსრების ფარგლებში, „შემსყიდველის" ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის, გზისთვის ვარგისიანობის ტესტირების მომსახურების (კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დასახელება - CPV-71600000-ტექნიკური შემოწმება, ანალიზი და საკონსულტაციო მომსახურებები; კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი -71630000 - ტექნიკური შემოწმება და ტესტირება) შესყიდვაზე და „მიმწოდებელმა" აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 144 (ასორმოცდათოთხმეტ) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტების მახასიათებლები, რაოდენობა, ერთეულის ფასი და ჯამური ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართ #1-ში.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან, მიმდინარე წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით მისამართზე: ქ. ქუთაისი, ორახელაშვილის #1

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების შესახებ შუალედური მიღება ჩაბარების აქტს, შუალედურ ინსპექტირების დასკვნას, საგადასახადო ანგარიშფაქტურას (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

5.2 ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. #15ა, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი".

5.3. ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების საბოლოო კონტროლს განახორციელებს სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"-ს დირექტორის ბრძანებით გამოყოფილი პირი, რომელიც წერილობითი მომართვის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ახორციელებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებას, ადგენს საბოლოო ინსპექტირების დასკვნას და ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში ახორციელებს მიმწოდებელთან საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას, ხოლო ხარვეზის აოსებობის შემთხვევაში საბოლოო

ინსპექტირების დასკვნის და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება განხორციელდება ხარვეზის აღმოფხვრიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

6.3.გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშფაქტურის და საბოლოო ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

6.4. „შემსყიდველი" უზრუნველყოფს „მიმწოდებლის" დაფინანსებას საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.2. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის" მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ყველა ხარჯს დაკავშირებულს ხელშეკრულების საგანთან იხდის „მიმწოდებელი".

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" სრული და დროული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს "შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და ვამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2 ერთი მხარის მიერ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3 ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.4 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში.

14.1.5 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების მესრულებაზე.

15.2. ხელშეკრულების მესრულების კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

15.2.2. მომახურების გაწევის ვადების, გაწეული მომსახურების მოცულობისა და ხარისხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის კონტროლი.

15.2.3 შუალედური და საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტებისა და ინსპექტირების დასკვნების გაფორმება;

15.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ შემსყიდველის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", სამი _ „შემსყიდველთან"

`შემსყიდველი~	„მიმწოდებელი"
სსიპ" ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"	შპს „ჯეა"
ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა	ქ. ქუთაისი, ორახელაშვილის #1
სახელმწიფო ხაზინა	ს.ს საქართველოს ბანკი
კოდი № TRESGE22	ბანკის კოდი # BAGAGE22
ა/ა № GE24NB0330100200165022	ანგარიშის #GE05BG0000000889429901
ს/კ № 205169592	საიდენტიფიკაციო კოდი #212700898
მარინა მესხი	ელდარ ერაძე
დირექტორი	დირექტორი

დანართი#1

#	Ggasawevi momsaxurebis dasaxeleba	sax.nomeri	erTeuli	raodenoba	erTeulis fasi (lari)	saerTo Rirebuleba (lari)
1	მერსედეს ბენცი სპრინტერი 311CDI ტესტირება	HHHWH-664	ცალი	1	67	67
1	ნისან ცივილიანი ტესტირება	MIHI- 394	ცალი	1	77	77

სულ: 144 ლარი

`შემსყიდველი~

სსიპ" ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"

მარიანა მესხი
დირექტორი

„მიმწოდებელი"
შპს „ჯეა"

ელდარ ერაძე
დირექტორი